ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2536977

ნომერი: AR1389189

თარიღი : 23.03.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 15.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჩოლოყაშვილი , N 3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ზედანია პ/ნ 01008010287
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 4, ბინა 98

ორგანიზაცია:

- სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05/12/2013 წლის N1029346 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა გიგა ზედანიასა და ქეთევან ლაკირბაიას 23/03/2016 წლისAR1389189 განცხადებაამავე სამსახურის 05/12/2013 წლის N1029346 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომამავე სამსახურის 05/12/2013 წლის N1029346 ბრძანებით ქ. თბილისში, გასასვლელი გ. წერეთელი, N1 / ქალაქი თბილისი, გამზირი ჩოლოყაშვილი, N3-5, სსიპ „ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი:N01.14.07.010.023) შეთანხმდა E კორპუსისრეკონსტრუქციის, E და G კორპუსებს შორისდამაკავშირებელი ხიდის მოწყობისა და ახალი კორპუსის(უმაღლესი სასწავლებელის) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 5 დეკემბრიდან2016 წლის5 ივნისის ჩათვლით.

დღეისათვის, საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით, (განაცხ.რეგისტრაცია: N882015434840; მომზ. თარიღი: 04/08/2015 09:01:56) ქ. თბილისში, გასასვლელი გ. წერეთელი, N1 / ქალაქი თბილისი, გამზირი ჩოლოყაშვილი, N3-5–ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი: N01.14.07.010.023) წარმოადგენს სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საკუთრებას, რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგნელობაზე უფლებამოსილი პირიითხოვს 05/12/2013 წლის N1029346 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ლიცენზიებისა დანებართვების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულისგარდა, არის ნებართვის მფლობელისმოთხოვნა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებისშესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზეწარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისადა მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათიუფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვსობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველინაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 61-ემუხლების, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებკანონის 34-ე მუხლისა და„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებისშესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე–20 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს გიგა ზედანიასა და ქეთევან ლაკირბაიას 23/03/2016 წლის AR1389189 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიისსსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05/12/2013 წლის N1029346 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესითგაცნობიდან ერთი თვის ვადაში.